

საქართველოს კანონი

მედიაციის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების წახალისებისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, განსაზღვრავს მედიაციის წარმოების ზოგად პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესს, მედიატორის უფლებამოსილებებსა და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციასა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ თავით გათვალისწინებულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრულ მედიაციაზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **მედიაცია** - პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით და წესით;

ბ) **სასამართლო მედიაცია** - მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში;

გ) **კერძო მედიაცია** - მედიაცია, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე;

დ) **მედიაციის მონაწილეები** - მედიატორი, მხარეები, მხარეთა წარმომადგენლები და მესამე პირები;

ე) **მედიატორი** - ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და გამოთქვამს თანხმობას, წარმართოს მედიაციის პროცესი, მიუხედავად მისი სტატუსისა და არჩევის/დანიშვნის წესისა;

ვ) **მედიაციის მხარე** - ფიზიკური/იურიდიული პირი ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელიც დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების მიზნით მონაწილეობს მედიაციის პროცესში;

ზ) **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის მედიაციის მხარე და რომელიც მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობს მედიაციის პროცესში;

თ) **მედიაციის თაობაზე შეთანხმება** - მხარეთა წერილობითი შეთანხმება დავის წარმოშობის შემთხვევაში მედიაციისათვის მიმართვის თაობაზე;

ი) **სამედიაციო მორიგება** - შესასრულებლად სავალდებულო წერილობითი დოკუმენტი მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ;

კ) **საქართველოს მედიატორთა ასოციაცია** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს;

ლ) **მედიატორთა ერთიანი რეესტრი** - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ წარმოებული საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრთა საერთო სია.

მუხლი 3. მედიაციის პრინციპები

მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), კეთილსინდისიერების, თანასწორობის, კონფიდენციალურობის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მედიაციის პროცესში წამოჭრილი საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, უნდა გადაწყდეს ამ პრინციპების შესაბამისად.

თავი II

მედიაციის პროცესი

მუხლი 4. მედიატორის არჩევა/დანიშვნა

1. მედიაცია შეიძლება წარმართოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა ერთდროულად.
2. მედიატორის არჩევის თაობაზე თანხმდებიან მხარეები. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მედიატორი არჩეულ უნდა იქნეს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან.
3. სასამართლო მედიაციის დროს მხარეები მედიატორს არჩევენ მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან სასამართლოს მიერ შედგენილი და მხარეებისათვის შეთავაზებული კანდიდატურების სიიდან. თუ სასამართლოს მიერ მხარეთათვის სიის შეთავაზებიდან 3 დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის კანდიდატურაზე, სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მედიატორს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან ნიშნავს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.
4. კერძო მედიაციის დროს მხარეებს შეუძლიათ მედიატორად დანიშნონ ნებისმიერი პირი, მათ შორის, მედიატორთა ერთიანი რეესტრში ჩარიცხული მედიატორი, რომელიც ვალდებულია მედიაციის პროცესი წარმართოს ამ კანონით დადგენილი პრინციპებისა და წესების შესაბამისად. მედიატორის არჩევის თაობაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეთა მიმართვის საფუძველზე მედიატორს მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან ნიშნავს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 5. მედიატორის შერჩევისას გასათვალისწინებელი გარემოებები

1. მედიატორის შერჩევის დროს მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ გარემოებები, რომლებიც განაპირობებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიატორის შერჩევას.
2. მედიატორის შერჩევის დროს მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ შემდეგი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:
 - ა) მედიაციის პროცესის წარმართვის გამოცდილება ან/და შესაბამისი ტრენინგი და სწავლება;
 - ბ) სასამართლო წარმოების ან დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტის მექანიზმებში შესაბამისი გამოცდილება;
 - გ) ნებისმიერი ტიპის მოლაპარაკების წარმართვაში გამოცდილება;
 - დ) დავის შინაარსის მიხედვით, შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;
 - ე) აკრედიტაცია მედიაციის რომელიმე აღიარებული ორგანიზაციის მიერ;

ვ) მედიაციის ეფექტიანად წარმართვის, პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების მოძიების და სხვა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, მედიატორის საქმიანი რეპუტაცია და ავტორიტეტი.

მუხლი 6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და საქმიანობის შეზღუდვა

1. მედიატორი ვალდებულია მედიაციის დაწყებამდე ან/და მისი დაწყების შემდეგ ნებისმიერ ეტაპზე შესაბამისი გარემოების გამოვლენისთანავე შეატყობინოს მხარეებს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ასეთი გარემოებების არსებობის მიუხედავად, პირი შეიძლება იყოს მედიატორი, თუ მხარეები ამის შესახებ განაცხადებენ წერილობით თანხმობას. მედიატორს უფლება აქვს ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მხარეთა თანხმობის მიუხედავად, უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე.

2. მხარეთა თანხმობის მიუხედავად, პირს არ აქვს უფლება იყოს მედიატორი, თუ მედიაციის პროცესის დაწყებამდე იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იგი იყო მხარე ან მისი წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ სხვა მსგავს პროცესში, ან სხვა სახის საადვოკატო მომსახურება გაუწია მხარეს. მედიატორს ასევე არ აქვს უფლება საქმის დასრულების შემდეგ იმოქმედოს მხარის ინტერესების დასაცავად იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე.

3. მედიატორი იმავე საქმეზე ან არსებითად მასთან დაკავშირებულ სხვა საქმეზე არ შეიძლება მონაწილეობდეს წარსულში ან მომავალში სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ სხვა მსგავს პროცესში მოსამართლედ, ნაფიც მსაჯულად, პროკურორად, გამომძიებლად, სასამართლო სხდომის მდივნად, არბიტრად ან ექსპერტად, ან ჩართული იყოს საქმეში სახელმწიფო მოსამსახურედ.

მუხლი 7. მედიაციის დაწყება

1. მედიაციის დაწყების წინაპირობაა მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმება, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით ან მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა.

2. მედიაცია იწყება მხარის ან მხარეთა მიერ მედიატორისათვის მიმართვის, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან მხარეთა შუამდგომლობით - სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის საფუძველზე.

3. მხარეთა შორის მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებობისას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, არ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, მოპასუხის განცხადების საფუძველზე, სასამართლო ან არბიტრაჟი არ განიხილავს დავას მედიაციის თაობაზე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო/საარბიტრაჟო

განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება. მოპასუხის მიერ აღნიშნული განცხადება უნდა გაკეთდეს შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე. მხარის მიერ სასამართლოსთვის ან არბიტრაჟისთვის მიმართვა არ ჩაითვლება მედიაციის თაობაზე შეთანხმებაზე უარის თქმად ან უკვე დაწყებული მედიაციის შეწყვეტად.

4. მხარე უფლებამოსილია მედიაციის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მედიაციაში მონაწილეობაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 8. მედიაციის წარმართვა

1. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მედიაციის წარმართვის წესებზე.

2. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მედიატორი თავად განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის წესს დავის ეფექტიანად მოგვარების მიზნით, დავის გარემოებებისა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

3. მედიაციის ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული, თუ მხარეთა შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მედიაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მისაღწევად.

4. მედიაციის პროცესში მხარემ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მედიატორი უფლებამოსილია მოითხოვოს მედიაციის პროცესში მხარის/მხარეთა უშუალო მონაწილეობა.

5. მედიაციის წარმართვისას მედიატორმა უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა.

6. მედიაციის დაწყებამდე მედიატორი მხარეებს განუმარტავს მედიაციის პრინციპებს, მედიაციის პროცესში მედიატორის როლს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის, მედიაციის პროცესში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლებას, მედიაციის შესაძლო შედეგებს და მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების აღსრულების წესს, აგრეთვე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესსა და პირობებს.

7. მედიაციის წარმართვა შესაძლებელია მედიატორის მიერ მხარეებთან როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის მეშვეობით.

8. მედიაციის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მედიატორი უფლებამოსილია მედიაციის პროცესში მხარეებს შესთავაზოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაციის წარდგენა.

9. მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში როგორც მედიაციის პროცესის, ისე მისი საბოლოო შედეგის მიმართ მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის გათვალისწინებით. მედიატორს არ აქვს უფლება მხარეთა შორის არსებულ დავაზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

10. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, მედიატორმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები, მხარეთა ინტერესებისა და მედიაციის პროცესში მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით.

მუხლი 9. მედიაციის დასრულება

1. მედიაცია დასრულებულად ითვლება, თუ:

ა) მხარეები წერილობით შეთანხმდნენ დავის მორიგებით დასრულების შესახებ - შეთანხმების დღიდან;

ბ) მხარეები შეთანხმდნენ მედიაციის შეწყვეტის შესახებ - შეთანხმების დღიდან;

გ) ერთ-ერთი მხარე უარს აცხადებს მედიაციაში მონაწილეობის გაგრძელებაზე - მხარის მიერ ასეთი განცხადების გაკეთების დღიდან;

დ) ამოიწურა მედიაციისათვის განსაზღვრული ვადა - ამ ვადის გასვლის დღიდან;

ე) მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორი განაცხადებს, რომ მედიაციის გაგრძელება აღარ არის გონივრული და გამართლებული - მედიატორის მიერ აღნიშნული განცხადების გაკეთების დღიდან.

2. მხარეები ან/და მათი წარმომადგენლები თავად უზრუნველყოფენ სამედიაციო მორიგების შედგენას. მედიატორს შეუძლია დაეხმაროს მხარეებს სამედიაციო მორიგების შედგენაში.

3. სამედიაციო მორიგება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი.

მუხლი 10. კონფიდენციალობის ვალდებულება

1. მედიაციის პროცესი, ისევე, როგორც თავად ფაქტი მედიაციის მიმდინარეობის შესახებ, კონფიდენციალურია. კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია მედიაციის მიმდინარეობისას ან სხვაგვარად უკავშირდება მედიაციის პროცესს, თუ ინფორმაციის გამცემ პირსა და მხარის/მხარეთა შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასევე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის არის აუცილებელი.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია არ შეიძლება მედიაციის მონაწილეების მიერ გამოყენებულ იქნეს სასამართლო ან საარბიტრაჟო წარმოების დროს, ან დავის სხვა ნებისმიერი საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. მედიატორი უფლებამოსილი არ არის მიაწოდოს მხარეს მეორე მხარისგან მისთვის ინდივიდუალური კომუნიკაციის შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც ასეთი ინფორმაციის მეორე მხარისთვის მიწოდების შესახებ მედიატორს შესაბამისი მხარისაგან მიღებული აქვს აშკარა თანხმობა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საჭიროა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების უზრუნველყოფა ან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა;

ბ) ინფორმაციის წარდგენა ხდება სამედიაციო მორიგების მიღწევის ფაქტის დასამტკიცებლად, როდესაც მეორე მხარე სადაოდ ხდის ან უარყოფს ამ ფაქტს;

გ) მხარე ვალდებულია შეასრულოს ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე ადრე ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულება, რომლის შესახებაც მედიაციის პროცესში ცნობილი იყო მეორე მხარისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება მაქსიმალურად შეზღუდულ ფარგლებში;

დ) ინფორმაციის გამჟღავნება გათვალისწინებულია სასამართლოს ან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვა გადაწყვეტილებით, იმის გათვალისწინებით, რომ გამჟღავნება მოხდება მაქსიმალურად შეზღუდულ ფარგლებში, მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებით;

ე) სამედიაციო მორიგების შინაარსის გამჟღავნება საჭიროა მის ნებაყოფლობით შესასრულებლად ან აღსასრულებლად;

ვ) სამართლებრივი ან დისციპლინური დავა მიმართულია ინფორმაციის გამცემი პირის წინააღმდეგ და გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან და ამ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია ამ პირის სამართლებრივი ინტერესის დასაცავად;

ზ) მედიაციის პროცესში კონფიდენციალობის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია მხარეს მედიაციის დაწყებამდე ჰქონდა ან მიიღო კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით, ან ეს ინფორმაცია სხვაგვარად მოხვდა საჯარო სივრცეში, ისე, რომ ადგილი არ ჰქონია მხარის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების პირდაპირ ან არაპირდაპირ დარღვევას.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული ინფორმაციის კონფიდენციალობა გარეშე პირებისა და ფართო საზოგადოებისაგან.

6. კონფიდენციალობის ვალდებულება ძალაშია მედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 11. მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესი

1. კერძო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურების წესი და პირობები განისაზღვრება მედიატორსა და მხარეთა შორის შეთანხმებით.

2. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეული მხარის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება თავად ამ მხარეს, ხოლო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საბოლოო ხარჯები მათ შორის თანაბრად ნაწილდება.

3. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველი წლის განმავლობაში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მიწოდებულ, სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული ოდენობის დავებზე სასამართლო მედიაციის პროცესი წარმართოს ანაზღაურების გარეშე (Pro Bono).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 12. ხანდაზმულობა

1. კერძო მედიაციის დაწყების მომენტიდან ჩერდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა.

2. ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება მედიაციის დასრულებამდე. მედიაციის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

მუხლი 13. სამედიაციო მორიგების აღსრულება

1. მხარეთა შეთანხმებით, სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლოს მიერ აღსრულებას.

2. სამედიაციო მორიგების აღსრულების მოთხოვნით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ ერთობლივად.

3. სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს სასამართლო განიხილავს ამ კანონით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

4. თუ კერძო მედიაციას წარმართავს მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხული მედიატორი, მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება აღსრულდება ამ მუხლით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

5. თუ კერძო მედიაციას წარმართავს პირი, რომელიც არ ირიცხება მედიატორთა ერთიან რეესტრში, ამგვარი მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება განიხილება, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. ასეთი გარიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს

სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გარიგების პირობათა დარღვევისათვის დადგენილი სამართალწარმოების წესები.

თავი III

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

მუხლი 14. საქართველოს მედიაციის ასოციაციის შემადგენლობა და ფუნქციები

1. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია (შემდგომ - მედიატორთა ასოციაცია) არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას.

2. მედიატორთა ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

3. მედიატორთა ასოციაციის წევრები არიან მედიატორები, რომლებიც ჩარიცხული არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში.

4. მედიატორთა ერთიან რეესტრში შეიძლება ჩარიცხულ იქნეს ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევია, მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს მედიაციის ტრენინგი და ფლობს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს, ან/და ადვოკატი, რომელსაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგი და ფლობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს.

5. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა უნდა მოიცავდეს მედიაციის ტრენინგის მინიმალურ სტანდარტებს - ტრენინგის შინაარსს, ხანგრძლივობას, ტრენერთა კვალიფიკაციას, ტრენინგის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის შემოწმების წესებს და მედიაციის ტრენინგთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობით, მედიატორთა ტრენინგის ორგანიზებისა და ჩატარების უფლება აქვს ნებისმიერ დაწესებულებას/ორგანიზაციას, რომლის მიერ შეთავაზებული ტრენინგის სტანდარტიც აკმაყოფილებს მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით განსაზღვრულ პირობებს.

7. მედიატორთა ერთიანი რეესტრი ქვეყნდება საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდზე და მოიცავს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

- ა) მედიატორის სახელსა და გვარს;
- ბ) მედიატორის დაბადების თარიღს;
- გ) მედიატორის კვალიფიკაციას ან/და აკადემიურ სტატუსს;

დ) რეესტრში რეგისტრაციის თარიღს.

8. მედიატორთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა მედიატორთა ასოციაციის საერთო კრება, რომელიც შედგება მედიატორთა რეესტრში ჩარიცხული მედიატორებისაგან. მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მოწვევის პერიოდულობა, უფლებაუნარიანობა, აგრეთვე კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

9. მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების ფუნქციებია:

ა) მედიატორთა ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევა და გათავისუფლება;

გ) მედიატორთა ასოციაციის წესდებით დამტკიცებული წესით, მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსა და, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორთა ასოციაციის სხვა ორგანოების ფორმირება;

დ) მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების წესის შემუშავება და დამტკიცება;

ე) მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა;

ვ) მედიატორთა ასოციაციის საწევრო გადასახადის ფიქსირებული ოდენობის დაწესება.

10. მედიატორთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანებისა და წევრობის შეწყვეტის საფუძვლები და პირობები, აგრეთვე მედიატორთა ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

მუხლი 15. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო

1. მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო (შემდგომ - აღმასრულებელი საბჭო) უზრუნველყოფს მედიატორთა სერტიფიცირებას და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოებას.

2. აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციებია:

ა) მედიატორთა ასოციაციის კოლეგიური წესით მართვა;

ბ) მედიატორთა ასოციაციის სამტატო ნუსხის დამტკიცება;

გ) მედიატორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება;

დ) მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და მათი მედიატორებისათვის გაცნობა;

ე) მედიაციის მომსახურებით სარგებლობის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა;

ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით მედიატორის დანიშვნა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა;

თ) მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხული მედიატორის მიერ ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება და მედიატორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, მედიატორთა უფლებების დაცვა;

კ) სასამართლო მედიაციის განვითარებისა და მედიაციის სფეროში მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და მედიატორთა ასოციაციის საერთო კრებისათვის წარდგენა.

3. მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მედიატორთა ასოციაციის საქმიანობაში საკონსულტაციო ფუნქციით შეიძლება ასევე მონაწილეობა მიიღონ უცხოელმა ექსპერტებმა.

4. აღმასრულებელი საბჭოს წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

5. აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აღმასრულებელი საბჭოს სამდივნო.

6. აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, აგრეთვე აღმასრულებელი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მედიატორთა ასოციაციის წესდებით.

მუხლი 16. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე

1. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარეს მედიატორთა ასოციაციის წევრთაგან 4 წლის ვადით ირჩევს მედიატორთა ასოციაციის საერთო კრება.

2. მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის მედიატორთა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.

მუხლი 17. მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროები

მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:

ა) საწევრო გადასახადი;

ბ) გრანტები და შემოწირულობები;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

- დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- ე) მედიატორთა ასოციაციის საქმიანობიდან მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

თავი IV

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება და მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმის დამტკიცება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს მედიაციის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თითო წარმომადგენლის მონაწილეობა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს მედიატორთა ერთიან რეესტრში იმ პირების ჩარიცხვა, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. ამავე პუნქტით გათვალისწინებულ სერტიფიკატს გასცემს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო იმ ადვოკატის მიმართ, რომელსაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

4. ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული მედიაცია დასრულდეს ამ კანონის ძალაში შესვლამდე არსებული წესით.

მუხლი 19. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი - მე-3 პუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

უკანასკნელ პერიოდში დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. საქართველოში მცხოვრებ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მიმართონ დარღვეული უფლების აღდგენის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ გზებს, საამისოდ კი დახარჯონ მცირე დრო და გაიღონ ნაკლები ფინანსური რესურსები.

გარდა ამისა, დღეისათვის სასამართლო სისტემის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას სამოქალაქო დავების სიმრავლის კუთხით სასამართლოების გადატვირთულობა წარმოადგენს, რის გამოც საქმის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულება, პრაქტიკულად, ვერ ხერხდება, საქმეთა განხილვა ჭიანჭურდება, მოსამართლეთა დატვირთულობის მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება და საფრთხე ექმნება მხარეთა უფლებების დაცვასა და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. სასამართლოს განტვირთვის ერთ-ერთ ეფექტიან გზად მედიაციის ინსტიტუტის განვითარება და გაძლიერება მიიჩნევა. მედიაციის პროცესში სათანადოდ მომზადებული, მიუკერძოებელი მესამე პირი ეხმარება მოქალაქეებს და ბიზნესის წარმომადგენლებს სამოქალაქო დავების ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლო პროცესის გარეშე, ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის მიზანი არ არის და არც შეიძლება იყოს დავის გადაწყვეტის ტრადიციული საშუალების (სასამართლოს) ან თუნდაც, არბიტრაჟის ჩანაცვლება. განვითარებული მედიაციის მიზანია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაზრდა და სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვა ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. ამასთან, მედიაციის მოქნილი მექანიზმი იძლევა ამ უკანასკნელის დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან (სასამართლო, არბიტრაჟი) კომბინირებულად გამოყენების შესაძლებლობას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მედიაციის როლსა და მნიშვნელობას საერთო მიზნის მისაღწევად.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება და ასოცირების დღის წესრიგი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებას, განავითაროს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, განსაკუთრებით კი მედიაცია და არბიტრაჟი და შექმნას მათი გამოყენებისათვის ხელსაყრელი პირობები („Develop alternative means of dispute settlement (mediation, arbitration)“). ამ მიზნით, მიღებულ უნდა იქნეს კანონი „მედიაციის შესახებ“, რითაც სახელმწიფო კიდევ ერთხელ დაადასტურებს მზადყოფნას მედიაციის განვითარების მხარდასაჭერად. ამავე კანონით

მედიაციის პროცესში უნდა დამკვიდრდეს თანამდროვე სტანდარტები და დაინერგოს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე მეტად მისაღები მოდელი.

2011 წელს ევროპარლამენტის დაკვეთით განხორციელებული კვლევის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი - „მედიაციის გამოუყენებლობის ხარჯების გაანგარიშება - მონაცემთა ანალიზი“ (*Quantifying the cost of not using mediation – a data analysis*)¹, რომელშიც იტალიისა და ბელგიის მაგალითზე მოცემულია მედიაციის მაღალი სიხშირით გამოყენების შედეგად დაზოგილი დროისა და ხარჯების ანალიზი, შესაბამის ციფრობრივ მაჩვენებლებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. აქვე, ზოგადი შეფასების სახით, აღნიშნულია, რომ ევროპისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში სასამართლო სისტემა არ არის იმ დონეზე მოქნილი, რომ უპასუხოს გობალიზაციით გამოწვეულ მზარდ და კომპლექსურ ეკონომიკურ და საკომინუკაციო მოთხოვნებს. ევროპულ ბიზნესს თავისი კლიენტები ჰყავს მთელ მსოფლიოში და მას სჭირდება დავების გადაწყვეტის ტრადიციულ მეთოდებზე უფრო სწრაფი და იაფი მეთოდი. სწორედ ამიტომ ევროპული ბიზნეს საზოგადოება უნდა გაერთიანდეს მედიაციის გარშემო და აღიაროს მედიაციის მიერ მოტანილი ეკონომიკური სარგებელი, ხოლო სახელმწიფოებმა ადგილობრივ დონეზე მედიაციის ხელშეწყობით უნდა დაგოზონ დრო და ფული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მედიაციის წარმატების მაჩვენებელი დაბალი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, უკიდურესად დაბალია, საქმის განხილვის ტვირთი სახელმწიფოს, ბიზნესისა და მოქალაქეებისათვის მაინც მნიშვნელოვნად მსუბუქდება.² სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროფესიონალი მედიატორის მიერ წარმართული, ნებაყოფლობითი მედიაციის წარმატების მაჩვენებელი დაახლოებით 85%-ია.³

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის უკვე სააშკარაოზეა გამოტანილი ის სირთულეები, რომელთა დაძლევაც უნდა გახდეს საქართველოში მედიაციის სფეროში ახალი სამართლებრივი ბაზის შემუშავების უმთავრესი მიზანი. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მედიაციის სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისათვის არ არსებობს სათანადო ინსტიტუციური დასაყრდენი - ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა: ა) მედიატორთა ერთ ორგანიზმში გაერთიანებას; ბ) მედიატორთა სერტიფიცირებას და მათი კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლებაზე ზრუნვას; გ) მედიატორთა მიერ ეთიკის დაცვაზე ზედამხედველობას და, საჭიროების შემთხვევაში, მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებას. ამჟამად მედიაციის სფეროში მყარი ინსტიტუციური საფუძვლის გარეშე მოქმედებს რამდენიმე ორგანიზაცია (მედიატორთა ორი დამოუკიდებელი ასოციაცია, „მედიაციის ცენტრი“ და სხვ.), რომელთა შესახებაც რთულია ითქვას, რომ საერთო პრინციპები და სულისკვეთება აერთიანებთ; მათი საქმიანობა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებულ მწირ ნორმების ეფუძნება, ისიც, სასამართლო მედიაციის შემთხვევაში. რაც შეეხება კერძო მედიაციას, ამ სფეროში საერთოდ არ არსებობს სათანადო ნორმატიული ბაზა, თუ არ

¹ <http://www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201105/2011051&ATT19592/2011051&ATT19592EN.pdf>.

² იქვე, გვ. 5

³ იქვე, გვ. 13

ჩავთვლით იმ რამდენიმე სპეციალური ტიპის მედიაციას (სანოტარო მედიაცია, შრომითი დავების მედიაცია და სხვ.), რომელთაც მხარეთა მორიგების ხელშეწყობის მიზანი აერთიანებთ, თუმცა, კონკრეტულ სფეროში, შედარებით ვიწროდ მიმართული ამოცანებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პილოტურმა პროექტმა დაამტკიცა, რომ მედიაციის წარმატებული დანერგვა შეუძლებელია ამ სფეროსთან სამართლებრივი კავშირის მქონე ყველა დაინტერესებული უწყებისა თუ პირის ერთობლივი ძალისხმევითა და ჩართულობის გარეშე.

საზოგადოებაში, მათ შორის, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს (მოსამართლეები, ადვოკატები) შორის, მედიაციის შესახებ დაბალი ცნობადობა, მის მიმართ უნდობლობა, ისევე, როგორც მედიაციის განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის არარსებობა გახდა იმის ძირითადი მიზეზი, რომ 2012 წლიდან დღემდე მხოლოდ რამდენიმე ათეული მედიაციის პროცესია ჩატარებული. ამ პერიოდში სასამართლოში შესული სამოქალაქო საქმეთა საერთო რაოდენობის ფონზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, დავების გადაწყვეტის სისტემაში მედიაციამ სათანადო ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პილოტურმა პროექტმა რამდენიმე გამოწვევა წარმოაჩინა. ამ გამოწვევებს შორის შესაძლებელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამდენიმე ასპექტის ცალკე გამოყოფა. ეს ფაქტორებია:

- მედიაციის შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა;
- მედიაციის არაპოპულარობა და მის მიმართ უნდობლობა, რაც შესაძლოა, ამ სფეროს ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონითაც იყოს განპირობებული;
- მედიატორთა კადრების ნაკლებობა - სერტიფიცირებული მედიატორების სიმცირე;
- მედიატორთა სერტიფიცირების სტანდარტისა და განგრძობადი განათლების არარსებობა;
- მედიაციის უპირატესობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა (კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა; სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა სასამართლო პროცესთან შედარებით მცირე დროში, მცირე დანახარჯებით; სარჩელის აღძვრამდე სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და სხვ.);
- მედიატორთა ეთიკის სტანდარტის არარსებობა;
- მედიატორთა პასუხისმგებლობის სტანდარტისა და სანქციების გამართული სისტემის არარსებობა;
- მედიაციის ინსტიტუტის მიმართ იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა (მოსამართლეები, ადვოკატები) მხარდაჭერის დაბალი დონე;

- დღემდე სათანადო ფინანსური რესურსების მოუძიებლობა სასამართლო მედიატორთა ანაზღაურების სისტემისა და მედიაციისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად;
- მედიაციის ინტიტუტის შესახებ ცნობადობის დაბალი დონე და ცნობიერების ამაღლების კამპანიის უქონლობა და სხვ.

ჩამოთვლილი ფაქტორები ერთობლიობაში მნიშვნელოვნად აფერხებს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას.

ზემოაღნიშნული ვითარების ხელშესახებად შესაცვლელად საჭიროა ამ სფეროში რადიკალური ღონისძიებების განხორციელება - უნდა გამოვლინდეს მედიაციის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები და ორი რამ უნდა განვითარდეს ერთდროულად და თანაბრად: მოთხოვნა და მიწოდება; ამისთვის კი მნიშვნელოვანია გატარდეს კომპლექსური საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები.

პირველ რიგში, საჭიროა მოწესრიგდეს სამართლებრივი ბაზა და მიღებულ იქნეს კანონი „მედიაციის შესახებ“, რომელიც:

- დააფუძნებს მედიატორთა თვითრეგულირების ორგანოს და შექმნის მედიაციის განვითარებისათვის მყარ ინსტიტუციურ საფუძველს;
- სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის მედიატორის პროფესიის განვითარებას და მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, თვითდამკვიდრებას;
- დაადგენს სავალდებულო მოთხოვნებს მედიატორობის კანდიდატის მიმართ;
- განსაზღვრავს მედიაციის პროცედურებს, რომლებიც საერთო იქნება ყველა სახის მედიაციისათვის (პროცესის დაწყება, მედიატორის შერჩევა, ინტერესთა კონფლიქტი და მედიატორის აცილების საკითხი, სამედიაციო მორიგების აღსრულება და სხვ.);
- განსაზღვრავს მედიატორთა მიერ ეთიკის დაცვის ვალდებულებას და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებს.

„მედიაციის შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა 2016 წლის გაზაფხულზე დაიწყო ევროკავშირის/EU4Justice და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, USAID/PROLoG-ისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ჩართულობით და ფინანსური მხარდაჭერით. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ სასამართლო კორპუსის, იუსტიციის სამინისტროს, მედიატორთა ასოციაციების, აკადემიური წრეებისა და ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოგვიანებით, აქტიურმა საკანონმდებლო პროცესმა კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით, იუსტიციის სამინისტროში გადაინაცვლა და კონსულტაციები განახლებულ ფორმატში, საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფის წევრთა ჩართულობით გაგრძელდა. მედიაციის განვითარების საკითხებზე

მსჯელობას სამუშაო ჯგუფის რამდენიმე სხდომა დაეთმო, რომელთა ფარგლებშიც მოხდა კანონპროექტის ძირითად პრინციპებზე შეჯერება.

იუსტიციის სამინისტრის თხოვნით, USAID/PROLoG-ისა GIZ-ის მხარდაჭერით კანონპროექტის ირგვლივ დასკვნა მოამზადა სლოვენელმა ექსპერტმა, ალემ ზალარმა, რომელმაც კანონპროექტის საბოლოო ვერსია მთლიანობაში შეაფასა, როგორც ევროპულ და საერთაშორისო მედიაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე საკანონმდებლო პლატფორმის არსებობას მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ღირებული საშუალების, განვითარებისათვის⁴. ბ-ნი ზალარის რეკომენდაციები განსაკუთრებით ყურადსაღებია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მედიაციის გამოყენებისათვის მხარეთა წამახალისებელი საშუალებების კანონით გათვალისწინება და ამ პროცესში მოსამართლის როლის ამაღლება; მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მყარი გარანტიების შექმნა; მედიაციის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დაარსებისა და მედიატორთა ერთიანი რეესტრის შექმნის მნიშვნელობა; მედიატორის პროფესიის თვითრეგულირებადი ბუნება და სხვ. ექსპერტის რეკომენდაციების დიდი ნაწილი, ადგილობრივი კონტექსტის მხედველობაში მიღებით, გათვალისწინებულ იქნა კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში.

ამდენად, წინამდებარე საკანონმდებლო პაკეტი კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო უწყებებს, ქვეყანაში მოქმედ მედიატორთა ასოციაციებს, ამ სფეროში მომუშავე სხვა ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მიღწეული ფართო კონსენსუსის შედეგია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისა და პოპულარიზაციის გზით დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისა და სასამართლოების გადატვირთულობის თავიდან აცილების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. კანონპროექტი აგრეთვე მიზნად ისახავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ამ მიზნით, მიღებულ უნდა იქნეს კანონი „მედიაციის შესახებ“, რომლითაც სახელმწიფო კიდევ ერთხელ დაადასტურებს მედიაციის განვითარების მხარდაჭერისათვის მზადყოფნას.

⁴ *Report on Draft Law of Georgia on Mediation on Draft law of Georgia amending the Law of Georgia on State Fees on Draft Law of Georgia amending the Civil Code of Georgia on Draft law of Georgia amending Civil Procedure Code of Georgia by Aleš Zalar. Page 2.*

ამავე კანონით მედიაციის პროცესში უნდა დამკვიდრდეს თანამდროვე სტანდარტები, დაინერგოს მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ყველაზე მეტად მისაღები მოდელი და ბიძგი მიეცეს მედიაციის შეუფერხებელ განვითარებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების წახალისებისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით, კანონპროექტი განსაზღვრავს მედიაციის წარმოების ზოგად პრინციპებს, მედიატორთა პროფესიული გაერთიანების ორგანიზებისა და საქმიანობის წესს, მედიატორის უფლებამოსილებებსა და მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

კანონის რეგულირების სფერო

კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციასა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ თავით გათვალისწინებულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით.

კანონის მოქმედება არ გავრცელდება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრულ მედიაციაზე, რომელთაც თავისი სპეციფიკა ახასიათებს და შესაბამისი კანონმდებლობით წესრიგდება.

მედიატორის არჩევა/დანიშვნა

კერძო მედიაციის დროს:

- მედიატორი აირჩევა მხარეთა შეთანხმებით;
- მედიატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი;
- მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ მედიატორი მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან.

სასამართლო მედიაციის დროს:

- მედიატორს მხარეები სავალდებულო წესით ირჩევენ მედიატორთა ერთიანი რეესტრიდან;
- მხარეებს მედიატორთა სიას სთავაზობს სასამართლო;

- მედიატორის კანდიდატურაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლოს მიმართვის საფუძველზე, მედიატორს ნიშნავს მედიატორთა ასოციაცია.

კანონპროექტი აქვე განსაზღვრავს იმ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებაც მხარეებს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიატორის შერჩევაში დაეხმარება.

მედიატორის საქმიანობის შეზღუდვა

მედიატორი ვალდებული იქნება, მედიაციის დაწყებამდე ან/და მისი დაწყების შემდეგ ნებისმიერ ეტაპზე შესაბამისი გარემოების გამოვლენისთანავე შეატყობინოს მხარეებს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ასეთი გარემოებების არსებობის მიუხედავად, პირი შეიძლება იყოს მედიატორი, თუკი მხარეები ამის შესახებ წერილობით თანხმობას განაცხადებენ. ამასთან, მედიატორს უფლება ექნება, აღნიშნული თანხმობის მიუხედავად, უარი თქვას მედიაციის წარმართვაზე.

აქვე მოცემულია კანონისმიერი შეზღუდვების ჩამონათვალიც - მხარეთა თანხმობის მიუხედავად, პირი ვერ იქნება მედიატორი, თუ მედიაციის პროცესის დაწყებამდე იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იგი იყო მხარე ან მისი წარმომადგენელი სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ სხვა მსგავს პროცესში, ან სხვა სახის საადვოკატო მომსახურება გაუწია მხარეს. მედიატორს ასევე არ ექნება უფლება საქმის დასრულების შემდეგ იმოქმედოს მხარის ინტერესების დასაცავად იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე. გარდა ამისა, მედიატორს ეკრძალება იმავე საქმეზე ან არსებითად მასთან დაკავშირებულ სხვა საქმეზე მონაწილეობდეს წარსულში ან მომავალში სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ სხვა მსგავს პროცესში მოსამართლედ, ნაფიც მსაჯულად, პროკურორად, გამომძიებლად, სასამართლო სხდომის მდივნად, არბიტრად ან ექსპერტად, ან ჩართული იყოს საქმეში სახელმწიფო მოსამსახურედ.

მედიატორთა ერთიანი რეესტრი

მედიატორთა ერთიანი რეესტრი წარმოადგენს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ წარმოებულ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წევრთა საერთო სიას.

მედიატორთა ერთიან რეესტრში შეიძლება ჩარიცხულ იქნეს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი:

- რომელიც არ არის ნასამართლევ;
- რომელსაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს მედიაციის ტრენინგი და ფლობს მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს, ან

- ადვოკატი, რომელსაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგი და ფლობს ამავე ასოციაციის მიერ გაცემულ სერტიფიკატს.

მედიაციის პროცესი

მედიაციის დაწყების წინაპირობებია:

- მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმება;
- კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით ან მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემა.

ამასთან, მედიაციის თაობაზე შეთანხმების არსებობისას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, არ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, სასამართლო ან/და არბიტრაჟი არ განიხილავს დავას მედიაციის თაობაზე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმის განუხილველობით მოსარჩელეს მიადგება შეუქცევადი ზიანი.

კანონპროექტის თანახმად, მედიაციის ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული, თუ მხარეთა შეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მედიაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მისაღწევად. მხარეთა ნების ავტონომიურობის პრინციპი მოქმედებს მედიაციის წარმართვის პროცესზეც - მხარეებს შეუძლიათ თავად შეთანხმდნენ მედიაციის წარმართვის წესებზე. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მედიატორი თავად განსაზღვრავს მედიაციის წარმართვის წესს დავის ეფექტიანად მოგვარების მიზნით, საქმის გარემოებებისა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.

მედიაციის პროცესში მედიატორი ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში მხარეთა მიერ თავისუფალი, დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, მედიატორს არ აქვს უფლება, დაარღვიოს მედიაციის მთავარი პრინციპი და მხარეთა შორის არსებულ დავაზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება. ამავე დროს, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, მედიატორმა შეიძლება მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები, ცხადია, მათივე ინტერესებისა და მედიაციის პროცესში გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით.

მედიაცია დასრულდება, თუ:

- მხარეები წერილობით შეთანხმდნენ დავის მორიგებით დასრულების შესახებ;
- მხარეები შეთანხმდნენ მედიაციის შეწყვეტის შესახებ;
- ერთ-ერთი მხარე უარს აცხადებს მედიაციაში მონაწილეობის გაგრძელებაზე;

- ამოიწურა მედიაციისათვის განსაზღვრული ვადა;
- მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორი განაცხადებს, რომ მედიაციის გაგრძელება აღარ არის გონივრული და გამართლებული.

სამედიაციო მორიგება და მისი აღსრულება

კანონპროექტის თანახმად, სამედიაციო მორიგების შედგენას მხარეები ან/და მათი წარმომადგენლები თავად უზრუნველყოფენ. მედიატორს შეუძლია დაეხმაროს მხარეებს სამედიაციო მორიგების შედგენაში. სამედიაციო მორიგება ფორმდება წერილობით და მას ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი.

სასამართლო მედიაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მის შედეგად მიღწეული მორიგების სასამართლო წესით აღსრულების შესაძლებლობა. ეს პრინციპი კერძო მედიაციაზეც გავრცელდება, თუკი ამ უკანასკნელს წარმართავს მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხული მედიატორი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება განიხილება, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით დადებული გარიგება, მისი პირობების დარღვევის შემთხვევაში კი გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გარიგების პირობათა დარღვევისათვის დადგენილი სამართალწარმოების წესები.

სასამართლო უარს იტყვის სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, თუ

- სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონდებლობას ან საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს;
- მორიგების შინაარსიდან გამომდინარე, მისი აღსრულება შეუძლებელია.

კონფიდენციალობის ვალდებულება

მედიაციის, როგორც დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალების, ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია კონფიდენციალობა: მედიაციის პროცესი, ისევე, როგორც თავად ფაქტი მედიაციის მიმდინარეობის შესახებ, კონფიდენციალურია; მედიაციის მონაწილეებს უფლება არა აქვთ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესში. ეს ვალდებულება ძალაშია მედიაციის დასრულების შემდგომ პერიოდშიც. კანონპროექტი აქვე ითვალისწინებს იმ საგამონაკლისო შეთხვევების ჩამონათვალს, რომელთა არსებობისას კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ მოქმედებს. ეს შემთხვევებია: პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების უზრუნველყოფა ან არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის აუცილებლობა; ინფორმაციის წარდგენის საჭიროება სამედიაციო მორიგების მიღწევის ფაქტის დასამტკიცებლად, როდესაც მეორე მხარე სადაოდ ხდის ან უარყოფს ამ ფაქტს და სხვ. ამასთან, კანონპროექტი შეიცავს დათქმას, რომ აღნიშნულ საგამონაკლისო

შემთხვევებშიც ინფორმაციის გამჟღავნება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული ინფორმაციის კონფიდენციალობა გარეშე პირებისა და ფართო საზოგადოებისაგან.

მედიატორის საქმიანობის ანაზღაურება

კერძო მედიაციის დროს:

- მედიატორის ანაზღაურების წესსა და პირობებზე თანხმდებიან თავად მედიატორი და მხარეები;
- თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეული მხარის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება თავად ამ მხარეს, ხოლო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საბოლოო ხარჯები მათ შორის თანაბრად ნაწილდება.

სასამართლო მედიაციის დროს:

- მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან;
- მედიატორი ვალდებულია ყოველი წლის განმავლობაში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მიწოდებულ, სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული ოდენობის დავებზე სასამართლო მედიაციის პროცესი წარმართოს ანაზღაურების გარეშე (Pro Bono).

მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

კანონპროექტი აყალიბებს მედიაციის განვითარების ინსტიტუციონალურ საფუძველს და აღწერს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს მედიატორთა თვითრეგულირების განმახორციელებელი ორგანო.

პროექტის თანახმად, ასეთი ორგანოს როლს ასრულებს საქართველოს მედიატორთა ასოციაცია - წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კანონის საფუძველზე მედიაციის სფეროში ძირითადი წესების დამდგენი ორგანოა. მედიატორთა სერტიფიცირებისა და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოების მიზნით, ასოციაცია ქმნის აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც კოლეგიური წესით მართავს მედიატორთა ასოციაციას; ასოციაციის უმაღლესი ორგანოა მედიატორთა ასოციაციის საერთო კრება, რომლის ძირითადი ფუნქციაა მედიატორთა ასოციაციის წესდების დამტკიცება, მედიატორთა ერთიანი რეესტრში ჩარიცხულ მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის, აგრეთვე დისციპლინური სამართალწარმოების წესის შემუშავება და დამტკიცება, მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოსა და, საჭიროების შემთხვევაში, მედიატორთა ასოციაციის ორგანოების ფორმირება და სხვა ფუნქციების განხორციელება. მედიატორთა ასოციაციას ჰყავს თავმჯდომარეც, რომელსაც, ძირითადად, წარმომადგენლობითი ფუნქცია ეკისრება.

გარდამავალი პერიოდი

გარდამავალ პერიოდში საჭიროა კანონის სრულად ასამოქმედებლად მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება. საამისოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განესაზღვრება ვადა მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესამუშავებლად და მედიატორთა ერთიანი რეესტრის ფორმის დასამტკიცებლად. ამ აქტივობების შედეგად, კანონის ამოქმედებამდე ეტაპობრივად შესაძლებელი გახდება რეესტრში იმ პირთა ჩარიცხვა, რომლებიც უკვე აკმაყოფილებენ ან გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დააკმაყოფილებენ კანონის მოთხოვნებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება, განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე, გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია სსიპ - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის. წინასწარი მიახლოებითი გაანგარიშებით, ასოციაციის დაარსებისა და ფუნქციონირების დაწყებისათვის საჭირო სახსრები 200 000 ლარის ფარგლებში მერყეობს. ამ ხარჯებში შედის საოფისე ხარჯები (ოფისის ქირა და საოფისე ინვენტარის შესაძენად საჭირო სახსრები), ასოციაციის დირექტორისა და აღმასრულებელი საბჭოს სამდივნოს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის მოვლა-შენახვისა და მიმდინარე რემონტის ხარჯები, კომუნალური ხარჯები, აუდიტორული მომსახურებისა და სხვა ხარჯები. ამავე თანხაში შედის ის ერთჯერადი ხარჯიც, რომლის გაღებაც ასოციაციის დაარსების პირველ ეტაპზეა საჭირო (ძირითადად, მსხვილი საოფისე ტექნიკის შეძენისათვის განკუთვნილი სახსრები); მისი ოდენობა 40 000 ლარის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, მომდევნო წლებისთვის ერთჯერადი ხარჯი გამოაკლდება ასოციაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორის საქმიანობა სასამართლო მედიაციის პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან უნდა ანაზღაურდეს. წინასწარი გაანგარიშებით, სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორთა შრომის ანაზღაურების ფონდი ყოველწლიურად 15000-დან 20000-მდე ლარის

ფარგლებში მერყეობს. მომდევნო პერიოდში შესაძლოა სასამართლო მედიაციის სიხშირე და, შესაბამისად, მედიატორთა შრომის ანაზღაურების ხარჯები გაიზარდოს, თუმცა, ეს საკითხი გააზრებულ უნდა იქნეს მედიაციის განვითარების სანაცვლო მოსალოდნელი ეფექტის ჭრილში, მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისით.

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ერთი მოსამართლის დანიშვნის შემთხვევაში საშუალო წლიური ხარჯი (ამ ხარჯში შედის მოსამართლის, მისი თანაშემწის, სხდომის მდივნის, თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში - მთავარი კონსულტანტის წლიური შრომის ანაზღაურება, აგრეთვე მათი სამუშაო სივრცის ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვისათვის გასაწევი ერთჯერადი ხარჯი) შემდეგნაირად გამოიყურება:

- I ინსტანციის სასამართლოში: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში - 123840 ლარი, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში - 100250 ლარი;
- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში - 128250 ლარი.

აღნიშნული მონაცემების ანალიზი სრულიად ნათლად წარმოაჩენს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისა და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის საჭიროებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალ აუცილებლობად მოგვევლინება პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის სამოქალაქო დავების განმხილველი არანაკლებ 10 მოსამართლის დამატება, რისი ხარჯიც, ზემომითითებული გაანგარიშების გათვალისწინებით, ყოველწლიურად 1 მილიონ ლარს აღემატება.

თუ საკითხს უფრო ფართო ჭრილში, გრძელვადიანი პერსპექტივიდან განვიხილავთ, ცხადი გახდება, რომ მედიაციის სათანადოდ განვითარებამ მნიშვნელოვნად უნდა განტვირთოს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების სამოქალაქო კოლეგიები/პალატები და ამ გზით დაზოგოს სახელმწიფოს სახსრები, რომელთა გაღებაც, საკუთრივ მოსამართლეთა კორპუსის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების მიღმა, ამ უკანასკნელს უწევს ყოველი სასამართლო პროცესის სრული მოცულობით ჩასატარებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაფუძნებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ მედიატორთა ასოციაცია ეტაპობრივად უნდა გადავიდეს თვითდაფინანსების პრინციპზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროების გამოყენებით - ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით იმ პირებს, რომლებიც მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანდებიან, პერიოდულად მოუწევთ მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დადგენილი ოდენობით მედიატორთა ასოციაციის საწევრო გადასახადის გადახდა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ითვალისწინებს მედიატორთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დადგენილი ოდენობით მედიატორთა ასოციაციის წევრთათვის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულების დაკისრებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შემუშავებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის, აგრეთვე დონორი ორგანიზაციების - USAID-PROLoG-ისა და GIZ-ის მხარდაჭერით.

კანონპროექტის შემუშავებიდან მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე პროექტი სხვადასხვა დროს განხილულ იქნა კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში:

- **26.12.2016** - დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებაზე (არბიტრაჟი, მედიაცია) მომუშავე ჯგუფის პირველ სხდომაზე;
- **28.03.2017** - დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებაზე (არბიტრაჟი, მედიაცია) მომუშავე ჯგუფის მეორე სხდომაზე;
- **07.06.2017** - კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებაზე (არბიტრაჟი, მედიაცია) მომუშავე ჯგუფის გაერთიანებულ სხდომაზე.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს თან ერთვის სლოვენური ექსპერტის - ალემ ზალარის შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.